

ქართული გალობა
ანთოლოგია

Georgian Chant
Anthology

XIV



საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი

The Folklore State Centre of Georgia

ქართული გალობა
ანთოლოგია
ტომი XIV

დასავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიცია

შუალამიანისა და ცისკრის საგალობლები

Georgian Chant
Anthology
Volume 14

The Chant Tradition of Western Georgia

Chants for the Midnight Office and Matins

თბილისი
Tbilisi
2020





ანთოლოგიის XIV-XVII ტომებში სრული სახით პირველად ქვეყნდება ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი Q673 (დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში). ეს კრებული ე. კერესელიძის ხელნაწერთა შორის ყველაზე მსხვილტანიანი და მოცულობითია. მასში მოცემულია ფილიმონ ქორიძისა და ექვთიმე კერესელიძის მიერ ნოტირებული შუალამის, ცისკრის და პირველი ჟამებისა და მცირე ოდენობით — წირვის საგალობლები. საგალობელთა დიდი რაოდენობის გამო, ხელნაწერი Q673 ოთხ (XIV-XVII) ტომად იბეჭდება. წინამდებარე ტომში წარმოდგენილია შუალამიანისა და ცისკრის („მცირე დიდება მაღალიანიდან“ რვა ხმის „გალობაჲ წმიდა არსისაჲ“-ს ჩათვლით) საგალობლები.

For the first time, Ekvtime Kereselidze's manuscript Q673 (kept at the K. Kekelidze National Center of Manuscripts) is being published in full in Volumes 14-17 of the Anthology. This collection is the thickest and most voluminous out of E. Kereselidze's manuscripts. Chants for the services of Midnight Office, Matins, First Hour, and a small number of chants for Liturgy notated by Philimon Koridze and Ekvtime Kereselidze are in the manuscript. Due to the incredible number of chants, manuscript Q673 is being printed in four volumes (14-17). Chants for Midnight Office and Matins (from the Small Doxology to "Chant to the Holy Consubstantial" in the eight tones") are shown in the present volume.

იდვის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელი: სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
Author and project leader: Svimon (Jiki) Jangulashvili

XIV ტომის შემდგენლები და მუსიკალური რედაქტორები: ლევან ვეშაპიძე, სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
Compilers and musical editors of Volume 14: Levan Veshapidze, Svimon (Jiki) Jangulashvili

შესავალი წერილისა და კომენტარების ავტორი: სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
Author of introduction and comments: Svimon (Jiki) Jangulashvili

რედაქტორები: რუსუდან წურწუმია, თამარ ჩხეიძე
Editors: Rusudan Tsurtsumia, Tamar Chkheidze

მთარგმნელი: ერიკ ჰალვორსონი
Translator: Eirik Halvorson

გამოცემაზე მუშაობდნენ: რუსუდან თაბაგარი, სოფიო ლობჯანიძე, ელიზბარ ხაჩიძე, გიორგი აბრამიშვილი
The publication was prepared by: Rusudan Tabagari, Sophio Lobzhanidze, Elizbar Khachidze, Giorgi Abramishvili

კონსულტანტები: ქეთევან გვაზავა, არქიდიაკონი დემეტრე დავითაშვილი, გიორგი ბარკავა
Consultants: Ketevan Gvazava, Archdeacon Demetre Davitashvili, Giorgi Barkava

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ლევან ვეშაპიძე, გიორგი აბრამიშვილი, სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
Computer services: Levan Veshapidze, Giorgi Abramishvili, Svimon (Jiki) Jangulashvili,

დიზაინერი: ნიკოლოზ გოგაშვილი
Designer: Nikoloz Gogashvili

პროექტის კოორდინატორი: ნინო რაზმაძე
Project coordinator: Nino Razmadze

©საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
Folklore State Centre of Georgia

ISMN 979-0-802100-95-4 (ყველა ტომის)
ISMN 979-0-802101-55-5 (მეთოთხმეტე ტომის)

„დიდება შენდა, უფალო იესო ქრისტე! ძალო ცხოვრებისა ჩემისაო: რამეთუ რომელი არა ვიცოდი, მაღლითა შენითა ვისწავე, და რომელი არა შემეძლო, შემძლებელ მყავ დაწერად წიგნისა ამის, მხიარულებით... და ან მშრომელი წარვალს. ხოლო ნაშრომსა ამას შეგვედრებ შენ: რათა ჰგიებდეს ერთა შორის ყოვლადვე ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

*ცოდვილი მღვდელმონაზონი ექვთიმე. 1920 წ. ჩშკ. წ.“
ხელნაწერ Q673-ის ბოლო ანდერძ-მინაწერი.*

შესავალი (XIV-XVII ტომებისათვის)

ანთოლოგიის XIV-XVII ტომებში იბეჭდება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული, წმიდა აღმსარებელის, ილუმენ ექვთიმე კერესელიძის სანოტო ხელნაწერი Q673. ეს კრებული, ქართული გალობის ნაბეჭდ თუ ხელნაწერ წყაროებს შორის, უპირველესად, ზომითაა გამორჩეული — იგი ყველაზე მსხვილტანიანი და მოცულობითი ხელნაწერია — მასში 1390 გვერდია. საგალობელთა დიდი რაოდენობის გამო, ხელნაწერი Q673 გავყავით და ოთხ (XIV-XVII) ტომად ვბეჭდავთ. XIV ტომში დაბეჭდილია შუალამისა და ცისკრის ჟამების საგალობლები, XV-XVI ტომებში წარმოდგენილია ცისკრის, ხოლო XVII-ში — ცისკრისა და I ჟამების და მცირე რაოდენობით წირვის საგალობლები. XIV ტომში დაბეჭდილია 175, XV-ში — 279, XVI-ში — 222, ხოლო XVII-ში — 178 ჰიმნი. ამ 854 საგალობლიდან, უმრავლესობა პირველად ქვეყნდება. მთლიანობაში, ანთოლოგიის XII—XVII ტომები ღამისთევის ლოცვის პარტიტურას წარმოადგენენ.

როგორც ანთოლოგიის XII ტომის შესავალში აღვნიშნეთ, ე. კერესელიძის ხელნაწერთა შორის სამ ყველაზე დიდტანიან კრებულში — Q672, Q673, Q674 ე. კერესელიძეს თავმოყრილი და ლიტურგიკული თანმიმდევრობის შესაბამისად დალაგებული აქვს ფ. ქორიძის მიერ ჩაწერილი, ხელნაწერთა ცენტრის Q და H კოლექციების სხვა ქორიძე-კერესელიძისეულ ხელნაწერებში თუ ქორიძისეულ გამოცემებში დაფიქსირებული მრავალი საგალობელი. ეს სამი ხელნაწერი, ლიტურგიკული სისრულისა და მუსიკალური სიმდიდრის (საგალობელთა მელოდიური და პოლიფონიური განვითარებისა და მრავალფეროვნების) თვალსაზრისით, თავისებურ ხელნაწერ სამგალობლო ანთოლოგიებს წარმოადგენენ.

ხელნაწერ Q673-ის სატიტულო გვერდზე მამა ექვთიმეს დაწერილი აქვს:

„პარტიტურა
წიგნი 17.

სრულიად წელიწადსა შინა სახმარებელი რვა-ხმა პარაკლიტონი.

აღდგომისა და სადღესასწაულ[ო] სრული საცისკრო საგალობელნი.

არს საკუთრება მღვდელმონაზონ [ქარაგმით] ექვთიმესი.

1891-1920წ.“



როგორც ხელნაწერის სატიტულო გვერდიდან და წინამდებარე შესავლის ეპიგრაფად მოყვანილი ამაღლებელი მინაწერიდან ვხედავთ, ამ მონუმენტურ ნაშრომზე, ჩვენი ერისა და ეკლესიის მიერ წმინდანად აღიარებული ექვთიმე 29 წელი მუშაობდა.

სატიტულო გვერდის შემდეგ, ვიდრე საგალობელთა სარჩევსა და უშუალოდ სანოტო პარტიტურას წარმოადგენდეს, ე. კერესელიძეს მოცემული აქვს ცისკრის საგალობელთა „რიგის აღსავლები“, ანუ მათი ლიტურგიკულ-ტიპიკონური დაჯგუფებისა და თანმიმდევრობის ამსახველი ჩამონათვალი (შესაბამისი ტიპიკონური მითითებებით, რომლებიც, შემდგომ მეორდება უშუალოდ საგალობლებთან და ამიტომ მათ ცალკე აღარ წარმოვადგენთ), სათაურით:

„წეს-რიგზე დანყობილება რვა ხმა აღდგომის საცისკრო საგალობელთა. იხილე შემდეგი“.¹

სარჩევის მსგავს ამ ჩამონათვალში მოცემულია ცისკრის „აღსავალთა“ „რიგები“ (სულ 50), თითოეულ „რიგში“ შემავალ საგალობელთა ჯგუფის დასახელება, ტიპიკონურ-ლიტურგიკული მითითებანი და ამ ჯგუფების საწყისი და ბოლო გვერდების ნომრები. ტერმინი „აღსავალი“, ამ შემთხვევაში, არა ლიტურგიკული მნიშვნელობით, არამედ ამ სიტყვის შუა-საუკუნეობრივი შინაარსით უნდა გავიგოთ, როგორც „საფეხური“, განვითარებადი, ზეაღმავალი რიგის ერთ-ერთი ნაწილი. უშუალოდ „აღსავალი“ მსახურებაში ეწოდება საგალობელთა ანტოფონურ მიკრო-ციკლებს — ცისკარში, სახარების წინ, წირვის დასაწყის 3 საგალობელს და დიდი პარასკევის ცისკრის „შეხვეტილიანის“ საგალობლებს.

ე. კერესელიძის კლასიფიკაციით, ცისკრის საგალობელთა Q673-ში მოცემულ 50 „რიგში“ შედის:

1. დიდი კვერექსი;

2. რვა ხმის „ღმერთი უფალი“ და მარხვაში მათ ნაცვლად შესასრულებელი რვა ხმის „ალილუია“, რესპონსორულად ჩასართავი ფსალმუნური მუხლებით;

3. აღდგომის ტროპრები რვა ხმის; დღის წმინდანთა ტროპრები; დიდება, ან და; „ღვთისმშობლისები“ რვა ხმის;

მარხვაში „ალილუიას“ შემდეგ შესასრულებელი „წმიდა არსის“ რვა ხმის ტროპრები;

4. ფსალმუნთა კანონში ჩასართავი „დიდება, ან და, ალილუია“;

5. მცირე კვერექსი;

6. ფსალმუნების I კანონის „სტიქოლოგიის წარდგომები“ აღდგომის, რვა ხმის;

7. ფსალმუნთა კანონში ჩასართავი „დიდება, ან და, ალილუია“;²

8. მცირე კვერექსი;

9. ფსალმუნების II კანონის „სტიქოლოგიის წარდგომები“ აღდგომის, რვა ხმის;

¹ ამ „წეს-რიგზე დანყობილება“-ს სრული სახით ნახვა შესაძლებელია ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ვებ-გვერდზე, ხელნაწერ Q673-ის ციფრულ ვერსიაში.

² აქ ე. კერესელიძე კვლავ მე-4-ე „რიგში“ მოცემულ საგალობელზე მიუთითებს.

10. „აქედით სახელსა უფლისასა“ („აქედით“ და „აუარებდით“);³
11. მარხვაში შესასრულებელი „მდინარეთა ზედა ბაბილოვნისათა“;
დღესასწაულებზე შესასრულებელი სადიდებლები;
12. „გუნდნი ანგელოსთანი“-ს საგალობლები (6 დასდებელი თავისი ჩასართავებით);
13. მცირე კვერექსი;
14. აღდგომის იპაკოები რვა ხმის;
15. დღესასწაულთა „შემდგომად სადიდებლისა დასდებელი“ და სტიქოლოგიის მუხლები „თავის დიდება...ანდით“;⁴
16. რვა ხმის „დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო“ და რვა ხმის ცისკრის „ანტიფონები/აღსავლები“ (რვავე ხმის ყველა ანტიფონის ყველა მუხლი, დამატებით — IV ხმის ანტიფონების „გამშვენებული“ ვერსიას);
17. კვირის ცისკრის სახარების წარდგომები რვა ხმის;
დღესასწაულთა ცისკრის სახარების წარდგომები;
18. „ყოველი სული აქედით უფალსა“ სახარების წინ;
19. სახარების კითხვის თანმხლები მოკლე საგალობლები („უფალო, შეგვიწყალებ“, „და სულისაცა“, „დიდება შენდა, უფალო“);
20. „აღდგომა ქრისტესი ვიხილეთ“ (სხვადასხვა ხმის);
21. „დიდება, მოციქულთა ვედრებითა“ — ყველა მუხლით;
დიდი მარხვის ლიტურგიკულ პერიოდში შესასრულებელი „მსწრაფლ განუხვენ“ ყველა მუხლით;
22. „12 უფალო, შეგვიწყალებ“, „ამინ“;
23. „გალობანის“/კანონის I გალობა/ოდა/„უგალობდითსა“, კატავასიით;⁵
24. მხოლოდ დიდ მარხვაში შესასრულებელი II გალობა/ოდა/„მოიხილესა“;⁶
25. III გალობა/ოდა/„განძლიერდასა“, კატავასიით;
26. მცირე კვერექსი;
27. წარდგომა;
28. IV გალობა/ოდა/„უფალო მესმასა“, კატავასიით;
29. V გალობა/ოდა/„ლამითგანსა“, კატავასიით;
30. VI გალობა/ოდა/„ლალად-ყავსა“, კატავასიით;
31. მცირე კვერექსი;

³ მე-10-ე „რიგში“, XV ტომში, დამატებული გვაქვს ამ „რიგის“ საგალობელთა ჰანგებზე ჩვენ მიერ განყოფილი „ნეტარ არიან უბინონი“-ს რამდენიმე ნიმუშიც.

⁴ დასდებელი ხელნაწერ Q673-ში მოცემული არაა, სადღესასწაულო სტიქოლოგიის წარდგომები კი, ე. კერესელიძის მიერ ხელნაწერის ბოლო ნაწილშია გადატანილი, მათი დიდი რაოდენობის გამო — კვირის ცისკრის, აღდგომის საგალობლები (იპაკოები და ანტიფონები) რომ არ დაშორებოდა ერთმანეთს.

⁵ დიდ დღესასწაულთა ძლისპირები, რომლებიც, ამ დღესასწაულთა ლიტურგიკულ პერიოდებში, ერთდებამიმდინარე კვირის ხმის ძლისპირთა კანონთან. კატავასიის თითოეული ძლისპირი „დაეფარება“ დღის, „მთავარი“ კანონის თითოეული გალობის/ოდის ბოლო მუხლს.

⁶ Q673-ში ბ გალობა/„მოიხილესა“ წარმოდგენილი არაა.



32. კონდაკი, იკოსი — რვა ხმის ალდგომის, ან დღესასწაულთა, და დღესასწაულის სვინაქსარი;⁷

33. VII გალობა/ოდა/„კურთხეულ არსა“, კატავასიით;

34. VIII გალობა/ოდა/„აკურთხევდითსა“, კატავასიით;

„ღვთისმშობელსა დედასა ნათლისასა“;⁸

35. ღვთისმშობლის გალობა „ადიდებს სული ჩემი უფალსა“ (რეფრენით „უპატიოსნესსა“);

36. IX გალობა/ოდა/„ადიდებდითსა“, კატავასიით;

37. მცირე კვერექსი;

38. „ნმიდა არს უფალი ღმერთი ჩვენი“ რვა ხმის;

39. განმანათლებელნი ალდგომის, შვიდეულის დღის ან დიდი მარხვის, თავისი მუხლებით, დიდება-ან და-თი და „ღვთისმშობლისებით“, რვა ხმის;

40. „ყოველი სული აქებდით უფალსა“;⁹

41. „აქებდითსა ზედა დასდებელნი“ ალდგომის ან დღესასწაულთა, რვა ხმის;¹⁰

42. გერი;

43. „უმეტესად კურთხეულ ხარ“ რვა ხმის;

44. „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა“ („დიდი დიდება მაღალიანი“);

45. „დიდება მაღალიანის“ შემდეგ შესასრულებელი ტროპრები რვა ხმის;

46. მრჩობლი კვერექსი;

47. თხოვნითი კვერექსი;

48. „დაამტკიცე“;¹¹

49. „უპატიოსნესსა“;

50. „უკეთილმსახურესი“;

პირველი უამის საგალობლები, კონდაკი „ზეშთა მბრძოლისა ჩემისათვის“.

ამ შთამბეჭდავი ჩამონათვალის თითოეული „რიგის“/„აღსავლის“ მიღმა ხშირად იგულისხმება საგალობელთა მთელი ციკლები, რვა ხმის, მელოდიურ-ფაქტურული და ჰარმონიული მრავალგვარობის მქონე ნიმუშები. მათგან მცირე ნაწილი Q673-ში შეტანილი არაა (სავარაუდოდ, სხვა ხელნაწერებშია, ან Q673-ში ნოტირებული მათი „დედანი“-მოდელების ჰანგზე უნდა შესრულდეს და ამიტომ აღარ ჩაიწერა ნოტებზე), თუმცა, „პარაკლიტონში“ მოცემული კვირის, ალდგომის ცისკრის მთელი ეს

⁷ 32-ე „რიგის“ ჰიმნთაგან Q673-ში მხოლოდ კვირის, ალდგომის რვა ხმის კონდაკებია ნოტირებული.

⁸ ამ ფრაზას ტიპიკონით მღვდელი ამბობს, Q673-ში კი, მისი სამ ხმაში შესასრულებელი, მართლმადიდებელი ლიტურგიისათვის უნიკალური ნიმუშია მოცემული.

⁹ Q673-ში ამ საგალობლის სრული ვერსიაა მოცემული, რომელიც თანამედროვე მსახურებაში თითქმის ყველგან (არა მხოლოდ საქართველოში) იკითხება.

¹⁰ Q673-ში მხოლოდ ალდგომის „აქებდითსა ზედა“ დასდებლებია.

¹¹ 48—50 „რიგების“ ჰიმნები ე. კერესელიძეს ხელნაწერ Q672-ში აქვს ნოტირებული (ანთ. XII ტ.), და ამიტომ, Q673-ში აღარ შეუტანია.

სამგალობლო მასალა, ნოტირებულია. ამასთან, Q673-ში, ზემოთ მოცემულ ცისკრის 50 „რიგის“ საგალობელთა გარდა, შუალამის უამზე შესასრულებელი რვა ხმის „სამებიანის გალობანი“ — ძლისპირთა აკოლუთიებიცაა მოცემული და წირვის რვა ხმის და სადღესასწაულო წარდგომებიც და „ალილუიებიც“.

ამრიგად, ხელნაწერი Q673, ძველ ქართულ „იადგართა“ თუ „გულანთა“ ეს საწარმო მემკვიდრე, შუა საუკუნეების ქართული სამუსიკო ტრადიციის XIX საუკუნეში ნოტირებული ეს „დიდი წიგნი“-Magnus Liber, ერთ-ერთი ყველაზე სრული, მრავლის მომცველი და გამორჩეული მუსიკალურ-ლიტურგიკული კრებულია, რომელიც აჯამებს და წარმოგვიჩენს ცისკრის განგების შესრულების ათასხუთასწლოვან ქართულ საეკლესიო ტრადიციას. ამასთან, თუკი გავიხსენებთ ანთოლოგიის VI-VIII ტომებში შეტანილ ასეულობით ძლისპირს, ასევე. კარბელაშვილებისა და რ. ხუნდაძის ხელნაწერებში მოცემულ მრავალ ძლისპირს, კიდევ უფრო შთამბეჭდავი ხდება ქართული ჰიმნოგრაფიული საგანძურის სიმდიდრე და მრავალრიცხოვნება.

* * *

როგორც სხვა ხელნაწერები, 1390 გვერდიანი მონუმენტური Q673-იც ე. კერესელიძეს, შუა საუკუნეების გადამწერთა მსგავსად, სხვადასხვა „სამშენისებით“ — გეომეტრიული თუ მცენარეული ხასიათის მინიატიურებით აქვს შემკობილი.

ხელნაწერ Q673-ში მოცემული ე. კერესელიძისეული მინაწერები თუ მითითება-აღნიშვნები უცვლელად გვაქვს გადმოტანილი XIV-XVII ტომების სქოლიოებში. ცვლილება შეეხო მხოლოდ ტემპების აღნიშვნაში მოცემულ სიტყვათა მოძველებულ თუ არასწორ ფორმებსა და დიალექტიზმებს (მაგ. „დინჟად“, „საშვალო მოძრაობით“, ნაცვლად ჩვენ მივუთითეთ „დინჯად“, „საშუალო მოძრაობით“ და ა.შ.).

* * *

ხელნაწერ Q673-ში შეტანილ საგალობელთა შორის არის, როგორც „სადა“ სტილისათვის დამახასიათებელი შედარებით მარტივი ფაქტურის მქონე საგალობლები (ზედა ხმების როგორც ტერციული, ასევე, კვარტა-კვინტური პარალელიზმით), ისე „გამშენებული“ სტილის, ინტენსიურად პოლიფონიზებული მრავალი ნიმუშიც. როგორც ანთოლოგიის წინა ტომებში, XIV-XVII ტომებშიც მრავალი საგალობელი ზომიერად „გამშენებული“, ან ე. წ. „ნამდვილი კილოს“ სტილის ჰიმნებს წარმოადგენს — ისინი პოლიფონიურობის თვალსაზრისით „შუალედური“ ხასიათისაა — მათში ერთმანეთს ენაცვლება პოლიფონიურობის სხვადასხვა ხარისხის მქონე მონაკვეთები.

ამასთან, ხელნაწერ Q673-ში საკმაოდაა წარმოდგენილი ისეთი საგალობლები, რომლებშიც ვლინდება არტემ ერქომაიშვილის (ე. წ. შემოქმედის მონასტრის სკოლის) სტილისათვის სახასიათო კვინტური და ფრაგმენტულად, მოკლე ფრაზებში — ზედა ორ

ხმას შორის სეკუნდური პარალელიზმი. ასეთ ნიმუშებში ქართული მრავალხმიანობის არქაული პლასტების რელიქტებს ვხედავთ, ადრეული შუა საუკუნეების (და ევროპული მრავალხმიანობის უძველესი ნიმუშების ესთეტიკასთან მონათესავე) ესთეტიკით. აღსანიშნავია, რომ ხელნაწერ Q673-ში არქაული კვინტური ჰეტეროფონიით კონფიგურირებული ფაქტურის მქონე ცალკეული საგალობლები მოცემულია ერთიან ციკლებშიც („გალობანი“, „აქებდითსა ზედა დასდებელნი“...) — ქორიძე-კერესელიძისეული „სადა“, „ნამდვილი“, ან „გამშვენებული“ სტილის ნიმუშებისა და ხუნდაძისეული „სადა“ სტილის იდენტური ფაქტურის მქონე ნიმუშების გვერდით.

მაგალითად, ასეთი ნიმუშებია: XIV ტომში — №34, 64. 154-158, 160, 162, 164, XVI ტომში — №15, 38, 91, 152-160, 164-176, XVII ტომში — №59-67.

ამასთან, შემოქმედის სკოლის არტემ ერქომანიშვილისეული თუ დიმიტრი პატარავასეული ჰიმნებისაგან, ასევე, გამოცემაში „თერთმეტი მარგალიტი“ (შულღიაშვილი, 2004) მოცემულ ნიმუშთა უმრავლესობისაგან განსხვავებით, Q673-ში დაფიქსირებული, კვინტური პარალელიზმით აგებული ჰიმნები ნაკლებად ხასიათდება კუთხური, ეთნოგრაფიული ინტონაციებით და უფრო მეტად ბადებს საეკლესიო არქაიკის შთაბეჭდილებას. ასევე, ისინი ა. ერქომანიშვილისგან ჩანერილი ჰიმნებისაგან I და III ხმების ოქტავური კოორდინაციისა და კვარტოქტაკორდების პარალელიზმის სიჭარბით განსხვავდებიან, მაშინ, როდესაც, „არტემისეულ“ ჰიმნებში განაპირა ხმებს შორის ხშირად უღერს ნონა და Q673-სეულ ჰიმნებზე უფრო ხშირია პარალელური სვლები კვინტონაკორდით.

აღსანიშნავია, რომ არქაული ჰეტეროფონიის ესთეტიკით აგებული, XIV ტომის №64 ძლისპირის „ყოველთა მეუფესა“-ს „დედანი“ (ანუ, მელოდიური მოდელი, რომელზეც კონტრაფაქტურითაა დადებული №64-ის პოეტური ტექსტი) ძლისპირი „განჰკვირდეს ზესკნელს ცანი“. ქორიძე-კერესელიძის ხელნაწერებში ამ ძლისპირის ორგვარი ვერსია გვხვდება — განსხვავებულნი ფაქტურულ-ჰარმონიული სტილით. ეს ძლისპირი ანთოლოგიის VII ტომის №23 ვარიანტში¹² შემოქმედის სკოლის, „არტემისეული“ არქაული კვინტური პარალელიზმითაა წარმოდგენილი, XVI ტომის №72 ვარიანტში კი, ძლისპირი „განჰკვირდეს ზესკნელს ცანი“, მართალია, იმავე *cantus firmus*-ითაა, მაგრამ, II-III ხმები და ფაქტურა, არა შემოქმედის სკოლისათვის ნიშანდობლივი კვინტური პარალელიზმით აქვს აწყობილი, არამედ გელათის სკოლის „სადა“ და „ნამდვილი“ სტილების შესაბამისად. „ყოველთა მეუფესა“ ხელნაწერებში მხოლოდ ამ ერთი ნიმუშის სახით გვაქვს შემონახული, მისი მოდელ-დედანი კი, არქაული ფაქტურითაც და „სადა“ თუ „ნამდვილი“ სტილითაც.

იგივე სურათი გვაქვს ზემოთ ჩამოთვლილი ზოგიერთი ძლისპირის შემთხვევაშიც, რომლებიც ასევე სხვა ძლისპირების ჰანგზეა დადებული (დედნები მითითებულია

¹² სინანულით აღვნიშნავთ, რომ VII ტომში, №23 „განჰკვირდეს ზესკნელს ცანი“-ს სქოლიოში, ტექნიკური მიზეზით გამორჩენილია შენიშვნა იმის შესახებ, რომ ეს ჰიმნი ხელნაწერში ალტერაციის ნიშნების გარეშეა ჩანერილი და VII ტომში მოცემული ალტერაციის ნიშნები ჩვენი დასმულია.

თავად კერესელიძის მიერ და ეს მითითება ემთხვევა „პარაკლიტონის“ მითითებებს ჰიმნთა მოდელზე). ამ ნიმუშებშიც ვლინდება ზემოაღნიშნული, სკოლათა სტილების განსხვავებულობა იდენტური ჰანგის (და მოდელ-„დედანთან“ კონტრაფაქტურული მიმართების) პირობებში.

პოლიფონიური სტილების მრავალგვარობა Q673-ში მოცემულ ერთიან ციკლებში (განსხვავებით, ფ. ქორიძის მიერ ნოტირებული და გამოცემული ისეთი პარტიტურებისა, როგორცაა, „წირვა“ (ქორიძე, 1895) ან „აღდგომის საგალობელი“ (ქორიძე, 1904), რომლებშიც ათობით თუ ასობით საგალობელი ერთიანი, „გამშვენებული“ სტილისაა და წირვის თუ ცისკრის კანონის ციკლები, ფაქტურულ-პოლიფონიური სტილითაცაა გამთლიანებული), მიგვითითებს:

ა) ფ. ქორიძის მიერ საგალობელთა სხვადასხვა ადგილას ან სხვადასხვა მაგალობელთაგან ნოტირებაზე და შემდგომ ამ პოლიფონიურ-სტილურად ურთიერთ-კონტრასტული მასალის ლიტურგიკული ციკლების სახით თავმოყრაზე ე. კერესელიძის მიერ;

ან — ბ) ცალკეული საგალობლის II-III ხმების სხვადასხვა პირის მიერ ნოტირებაზე (რაც ნაკლებად სავარაუდოა, იმდენად დიდია ფაქტურულად ურთიერთ-კონტრასტული საგალობლების რიცხვი);

ან — გ) ქართულ სამგალობლო ხელოვნებაში ისეთი ტრადიციის არსებობაზე, როცა, ცალკეულ ლიტურგიკულ ციკლებში შემავალი საგალობლების გალობისას, მაგალობელთა სურვილისამებრ, ან სიტუაციის შესაბამისად (დღესასწაული, სამღვდელთმთავრო წირვა, დახელოვნებულ მაგალობელთა თავმოყრა ერთად, მსახურების ჩქარა დამთავრების, ან მთელი ღამის მანძილზე შესრულების საჭიროება...) თავისუფლად გამოიყენებოდა სხვადასხვა პოლიფონიური სტილი, მათ შორის, როგორც ერთი საგალობლის მუსიკალურ ქსოვილში (რაც, პრინციპში, ჩვენამდე მოსულ საგალობელთა უმრავლესობის ზოგად-სტილურ ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს), ასევე, ლიტურგიკულ ციკლებში („გალობანი“, დასდებელთა ციკლები, უფრო ფართოდ - მწუხრი, ცისკარი, წირვა...).

მესამე, სავარაუდო ვერსია სწორი რომც არ იყოს და საქმე ქორიძის მიერ ნოტირებული მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი მასალის კომპილაციასთან და ლიტურგიკულ სისტემატიზაციასთან გვექონდეს (კერესელიძის მიერ), ყოველ შემთხვევაში ეს ფაქტი უეჭველად გვიდასტურებს იმას, რომ XIX—XX საუკუნეების გალობის მცოდნეებს შესაძლებლად მიაჩნდათ, როგორც მთელი ლიტურგიკული განგებებისა და მათი შემადგენელი ცალკეული ციკლების უნიფიცირებული მელოდიურ-პოლიფონიური სტილით შესრულება, ასევე, მსახურებისა და მის შემადგენელ ციკლთა აგება ურთიერთ-კონტრასტული სტილების მქონე საგალობლებით. ეს კვლავ და კვლავ გვაჩვენებს ქართული კულტურისათვის იმანენტურ მრავალფეროვნებას, შემოქმედებითობას, სააზროვნო „პოლიფონიურობას“.

* * *



ხელნაწერ Q673-ში მრავალი ძლისპირია. ბოლო წლებში ძლისპირთა ჟანრის ირგვლივ გაკეთდა დაკვირვებები და ნაშრომები (თ. ჩხეიძე, ხ. მანაგაძე, ნ. ნანეიშვილი, ე. ყაზარაშვილი...), მაგრამ მაინც, ეს ჟანრი ყველაზე თეთრ ფურცლად რჩება ჩვენს მუსიკოლოგიაში. თუმცა, ერთი რამ ნამდვილად შეიძლება ითქვას — ქართულ ძლისპირებში რვა ხმის სისტემა სხვა ჟანრებისაგან მკვეთრად განსხვავებულად მოქმედებს; — ცხადია, ლიტურგიკულ ლიტერატურაში ყველაზე დიდი პოეტური აღმაფრენითა და შემოქმედებითი მრავალფეროვნებით აღბეჭდილ ამ ჟანრში ეს ბუნებრივიცაა. მკვლევართა აღნიშვნით, თუკი ტროპების, დასდებლების, წარდგომების ან კონდაკების ჟანრებში რვა ხმის მელოდიური სფერო მეტ-ნაკლებად უფრო სისტემატიზებული და კლასიფიცირებულია, ძლისპირებში (და ცხადია, Q673-ში მოცემულებშიც) მრავლად გვხვდება ხმიდან ხმაში მოგზაური მელოდიური ნაგებობები. ასევე, საკმაოდაა შემთხვევები, როდესაც რომელიმე ხმისათვის დამახასიათებელი სანყისი მუხლებით სხვა ხმებშიც იწყება საგალობლები. საგალობელთა საბოლოო კადანსებზე აღარაფერს ვამბობთ — როგორც ძლისპირების, ასევე, სხვა ჟანრებისათვის ნიშანდობლივია სხვადასხვა ხმებში ურთიერთ-მსგავსი საკადანსო მუხლების გამოყენება. თუმცა, მაინც იკვეთება ამა თუ იმ ხმის ძლისპირთა ჯგუფისათვის ყველაზე სახასიათო დამაბოლოვებელი მუხლები.

ანთოლოგია „ქართული გალობა“, ისევე, როგორც ფოლკლორის ცენტრისა და ფონდ „ქართული გალობის“ მიერ გაცემული და საყოველთაო სარგებლობისათვის ინტერნეტში განთავსებული საგალობელთა ხელნაწერები, უფრო მეტ საშუალებას მისცემს დაინტერესებულ პირთ, ძლისპირთა ვარიანტებისა და მათი დედნების შედარებისა და ამ ჟანრის უფრო ღრმა გაცნობისა და, რა თქმა უნდა, ლიტურგიასა თუ საკონცერტო ესტრადაზე შესრულებისათვის.

ძლისპირთა პოეტური ტექსტების რედაქტირებისას, ანთოლოგიის დანიშნულებიდან გამომდინარე, ჩვენ შევეცადეთ, არ წავსულიყავით ღრმა ტექსტოლოგიურ და ჰიმნოგრაფიის ისტორიის საკითხებში. ძლისპირთა სიტყვიერი ტექსტების რედაქტირებისას ძირითადად ვეყრდნობოდით თანამედროვე და 1822 წელს დასტამბულ „პარაკლიტონს“ (ისინი იდენტურნი არიან) და გამოცემაში „ნევმირებული ძლისპირნი“ (კიკნაძე, 1982) წარმოდგენილ ხელნაწერს A603.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ხელნაწერ Q673-ში მოცემული ძლისპირების ტექსტი, ძირითადად, იდენტურია ამ ორივე წყაროში წარმოდგენილი მასალისა. ამასთან, გვხვდება ამ ორი წყაროსგან განსხვავებების ისეთი შემთხვევებიც, როდესაც: ა) ნოტირებული ძლისპირის ტექსტი განსხვავდება „პარაკლიტონისაგან“ და იდენტურია A603-ისა, ბ) ნოტირებული ძლისპირის ტექსტი განსხვავდება A603-საგან და იდენტურია „პარაკლიტონისა“, გ) ნოტირებული ძლისპირის ტექსტი განსხვავდება ორივე წყაროსაგან.

სხვათა შორის, მსგავსი სურათია Q673-ში წარმოდგენილ კონდაკებშიც, რომელთა პოეტური ტექსტებიც, არცთუ იშვიათად, განსხვავდებიან XIX საუკუნისა და თანამედროვე „პარაკლიტონისაგან“. საინტერესოა, რომ ასეთ შემთხვევებში

ერთმანეთთან ახლოსაა ქორიძე-კერესელიძისა და კარბელაშვილების მიერ ნოტირებული კონდაკები. ანთოლოგიის მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენ ამ საკითხის უფრო ღრმა კვლევა და კონდაკების შემცველი შუა საუკუნეების ხელნაწერების ანალიზი არ გვინარმოებია. მაგრამ, ერთი რამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას — ძლისპირთა და კონდაკების პოეტური ტექსტების სხვაობა XIX—XX საუკუნეების ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული წყაროებისაგან გვიჩვენებს, რომ XIX საუკუნეში საგალობელთა გადმომცემნი საგალობლების განსხვავებულ, თავიანთ თანადროულზე უფრო ძველ წყაროებს ეყრდნობოდნენ. ასევე, ცხადად ჩანს, რომ საგალობელთა პოეტურ ტექსტებს გარკვეული ვარიანტულობა ახასიათებდა, რაც სხვადასხვა თარგმანების და სკოლების არსებობასთან ერთად, ქართული კულტურისა და ხელოვნებისათვის დამახასიათებელ შემოქმედებით თავისუფლებასა და მრავალფეროვნებაზე მიგვიჩვენებს.

სქოლიოებში, ნოტირებული, „პარაკლიტონში“ და A603-ში მოცემული საგალობლების პოეტური ტექსტების მხოლოდ ისეთ განსხვავებებს წარმოვადგენთ, რომელნიც მნიშვნელოვანი არიან შინაარსობრივი სხვაობისათვის, ან გვაძლევენ სიტყვათა მარცვლების რადიკალურად განსხვავებულ რაოდენობას. ამასთან, რიგ შემთხვევებში, ნოტირებულ ძლისპირთა პოეტური ტექსტების ნაკლები სიტყვები ან აშკარა შინაარსობრივ-ორთოგრაფიული თუ სინტაქსური შეცდომები გასწორებული გვაქვს „პარაკლიტონისა“ და A603-ის მიხედვით (სქოლიოებში ასეთი შემთხვევები აღნიშნულია). პოეტური ტექსტების სხვა განსხვავებები (მაგ., მორფოლოგიური) აღნიშნული არ გვაქვს, ვინაიდან ეს სცდება ანთოლოგიის მიზანსა და დანიშნულებას.

მთლიანობაში, XX საუკუნის დასაწყისში ნოტირებულ და X საუკუნეში ნევერმირებულ ძლისპირთა ერთიანობა-ევოლუცია (თუმც, შემდგომ, ღრმა კვლევას მოითხოვს), აშკარა ფაქტია — თუნდაც, მუსიკალური ცეზურების იდენტიფიკაციის თვალსაზრისით, რის შესახებაც, ქართულ მუსიკოლოგიაში უკვე არსებობს კვლევები.

* * *

ხელნაწერი Q673, ანთოლოგიის წინა (განსაკუთრებით, V და XII-XIII) ტომებში გამოქვეყნებული წყაროების მსგავსად, გვიჩვენებს ღვთისმსახურების აღსრულების ძველ (შუა საუკუნეების) ქართულ თავისებურებას — როდესაც ღვთისმსახურებაში ყველა საღვთისმსახურო ტექსტი, გარდა „საიდუმლო“ ლოცვებისა, ასამაღლებლებისა, დიაკონთა მონოდება-შეძახილებისა, კვერექსების მუხლებისა და ბიბლიური საკითხავებისა,¹³ სამხმიანი პოლიფონიით (თანაც, უმრავლეს შემთხვევებში, რვა ხმის ვარიანტებითა და განსხვავებული მელოდიურ-ფაქტურული ვერსიებით) იგალობებოდა.

¹³ სახარება, სამოციქულო, სანინასწარმეტყველო.



Q673-ში მოცემულია საკვირაო (აღდგომისადმი მიძღვნილი) წირვის წინ, ცისკარზე შესასრულებელი ყველა საგალობელი — მთელი წლის რეპერტუარი 8 ხმის სისტემით. მათ შორისაა ისეთი საგალობლებიც, რაც დღევანდელ მსახურებაში იკითხება (მაგ., „ყოველი სული აქედით უფალსა“-ს შემდგომი (148-150-ე) ფსალმუნები, ცისკრის ანტიფონები, „გალობანი“, ¹⁴ უამრავი დასდებელი, ტროპარი და მცირე ფორმის ჩასართავი) და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, ისეთებიც, რაც საყოველთაო მართლმადიდებლური ტრადიციით, მაგალობელთა გუნდის მიერ კი არ იგალობება, არამედ მღვდლის ან დიაკვნის მიერ რეჩიტაციით აღევლინება¹⁵ — „ღმერთი უფალი“-სა და მარხვაში მისი ნაცვალის „აღილუა“-ს ფსალმუნის მუხლები, სახარების წარდგომების, სახარების „ყოველი სული“-ს, „წმიდა არს უფალი ღმერთი ჩვენი“-ს ცვალებადი ფსალმუნური მუხლები, „ადიდებს სული ჩემის“ წინა ასამაღლებელი „ღვთისმშობელსა დედასა ნათლისასა გალობით ვადიდებდეთ!“...

Q673-ში ამ საგალობლებს საგუნდო ანტიფონურ-რესპონსორული დიალოგის ფორმა აქვთ. ზოგჯერ ისინი უნიკალური მელოდიის მქონენი არიან, ზოგჯერ კი, რვა ხმის მელოდიური ფონდით არიან აგებული (მაგ., რვა ხმის „ღმერთი უფალი“ და მათი ფსალმუნის მუხლები).

ანტიფონური შესრულებისას, დასაშვებია, რომ ერთმა გუნდმა იგალობოს უცვლელი, რესპონსორულ-რეფრენული მუხლები (მაგ. „ღმერთი უფალი“), ხოლო მეორე გუნდმა მას უპასუხოს ცვალებადი ფსალმუნური მუხლებით. ასევე, დასაშვებია, რომ ერთმა გუნდმა იგალობოს I „ღმერთი უფალი“ მასზე დართული I ფსალმუნური მუხლით, მეორე გუნდმა — II „ღმერთი უფალი“ მასზე დართული II ფსალმუნური მუხლით და ასე ბოლომდე, ანუ უცვლელი+ცვალებადი (ან პირიქით) ორმუხლედები ცვალონ „მიმოგდებით“. სხვათა შორის, რესპონსორული ტექსტის მქონე საგალობლების ასეთი ანტიფონური განაწილება ხშირადაა მოცემული დღეს გამოყენებად, XVIII-XXI საუკუნეთა ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულებში. მიგვაჩნია, რომ ნებისმიერი საგალობლის სხვა სახის ანტიფონური გაყოფაც მისაღებია.

* * *

ხელნაწერ Q673-ისა და, ზოგადად, ქორიძე-კერესელიძის სანოტო ხელნაწერებისათუ გამოცემების სისრულისა და ყოვლისმომცველობის ფონზე, საკვირველად ჩანს ის ფაქტი, რომ ამ გრანდიოზულ კოლექციაში არაა ნოტირებული ცისკრის უამის პირველი საგალობლები „მცირე დიდება მაღალიანი“ და „უფალო, ბაგენი ჩემნი აღახვენ“ და ზოგიერთ ლიტურგიკულ პერიოდში, სადიდებლის „აქედით სახელსა უფლისასა“

¹⁴ სამწუხაროდ, „გალობანი“ ბოლო საუკუნის ღვთისმსახურებაში არ იგალობება და მას კითხულობენ ხოლმე. იშვიათად ზოგიერთ დღესასწაულზე (და მხოლოდ დიდ, ძირითადად, საპატრიარქო ტაძრებში) გალობენ ხოლმე აღდგომისა და შობის „გალობანს“.

¹⁵ ხელნაწერთა Q672, Q673 და Q674 ამ თავისებურებაზე ყურადღება პირველად მუსიკოლოგმა დ. დოლიძემ გაამახვილა (დოლიძე, 1991).

ნაცვლად შესასრულებელი „ნეტარ არიან უბინონი“. ბიბლიური წარმოშობის ეს საგალობლები დაფიქსირებული აქვთ ძმებ კარბელაშვილებს, რაჟდენ ხუნდაძეს — მხოლოდ პირველი ორი ჰიმნი ხსენებულთაგან.

სწორედ რ. ხუნდაძის ხელნაწერიდან (ფოლკ. ცენტრი, ხელნ. №2124) არის აღებული და 73-74 ნომრებადაა დაბეჭდილი „დიდება მაღალთა შინა“ და „უფალო, ბაგენი ჩემნი აღახვენ“ წინამდებარე კრებულში. ვინაიდან ეს ხუნდაძისეული საგალობლები „სადა“ სტილის ნიმუშებია, მათ ჩვენ მიერ „გამშვენებულ“ (Q673-ში მოცემულ საგალობელთა უფრო „გამშვენებული“ სტილის შესაბამისად განყობილ-გადაამუშავებულ) ვერსიებსაც ვბეჭდავთ წინამდებარე ტომში — 75—76 ნომრებად. ასევე, Q673-ის მრავალფეროვნების შესაბამისად, ამ ჰიმნების მესამე ვარიანტიც გავანწყვეთ და წარმოდგენილია ამ კრებულში 77 ნომრად — მათ საფუძვლად ავიღეთ Q673-ში მოცემული „დიდი დიდება მაღალიანი“-ს (ანთოლოგიის XVII ტომის №75) დასაწყისი მუხლების მუსიკა.

„ნეტარ არიან უბინონი“ კი, გავანწყვეთ Q673-ივე მოცემული ფსალმუნური „აქებდით სახელსა უფლისასა“-ს რამდენიმე ვარიანტის მუსიკაზე და ვბეჭდავთ XV ტომში 70-72 ნომრებად.

ამ საგალობლების განყოფილების მიზეზი, ისევე, როგორც სხვა მსგავს შემთხვევებში, ანთოლოგიის ლიტურგიკულ-პრაქტიკული დანიშნულებაა.

* * *

ანთოლოგიის XIV—XVII ტომებზე მუშაობისას, ხელნაწერ A603-თან (კიკნაძე, 1982) ერთად გამოვიყენეთ დღევანდელ ლიტურგიაში მიღებული „ჟამნის“, „პარაკლიტონის“, „ზატიკის“, „მარხვანისა“ და „სადღესასწაულოს“ XIX-XXI საუკუნეთა გამოცემები. როგორც ცნობილია, ამ (და სხვა) საღვთისმსახურო-ჰიმნოგრაფიული კრებულების კათოლიკოს-პატრიარქ ანტონი I-ის ეპოქიდან დღემდე გამოსული ყველა გამოცემა იდენტურია. სქოლიოებში დამონმებისას, ამ კრებულებს ვიხსენიებთ, როგორც „XIX—XXI საუკუნეთა“, ან „თანამედროვე“, ან „დღეს მიღებული“, ან პერიოდის მითითების გარეშე „პარაკლიტონი“, „ჟამნი“, „სადღესასწაულო“, „მარხვანი“, „ზატიკი“.

* * *

XIV ტომში იბეჭდება შუალამიანის განგების (იგივე შუალამის ჟამის) „სამებთანის საგალობელი“ (როგორც ე. კერესელიძე უწოდებს), „პარაკლიტონის“ მიხედვით — „აკოლოთია ღამის-თევისა, შუალამესა ზედა, კანონი წმიდისა მიმართ და ცხოველ-დასაბამისა სამებისა, ქმნილი მიტროფანესი“, ანუ, წმიდა სამებისადმი მიძღვნილი „გალობანი“ რვა ხმის, და ცისკრის ჟამის საგალობლები — „მცირე დიდება მაღალიანიდან“ დიდი მარხვის „ალილუიების“ შემდეგ შესასრულებელი რვა ხმის



„გალობა წმიდა არსისაი“-ს ჩათვლით (უკანასკნელთ, ამ „უამნისეული“ სახელწოდების ნაცვლად, ე. კერესელიძესთან ეწოდებათ „რვა-ხმა სამეზიანის ტროპრები“).

* * *

როგორც ანთოლოგიის სხვა ტომებში, XIV-XVII ტომებშიც ჩვენი სარედაქტორო ჩარევა შემოიფარგლება ალტერაციის ნიშანთა ცვლილებითა და აშკარა შეცდომების გასწორებით, რაღა თქმა უნდა, ყველგან შესაბამისი მითითებით კომენტარებში.

XIV-XVII ტომებში, ექვთიმე კერესელიძის მინაწერებში (როგორც სქოლიოებში, ასევე, განყოფილებათა სათაურებში) შენარჩუნებული გვაქვს საგალობელთა უანრების, ჯგუფებისა თუ სახეობების ხელნაწერისეული დასახელებები. მაგალითად, დღეს მეცნიერებასა თუ ლიტურგიაში დამკვიდრებულია „ძლისპირი“, „სტიქოლოგია“ Q673-ში კი, გამოყენებულია ფორმები „სძილის-პირი“, „სძლის-პირი“, „სტიხოლოლია“ და ა.შ..

Q673-ში ყველა კვერქსში „შენ, უფალო“ და „ამინ“ ერთ მუხლადაა ჩაწერილი და სიტყვები ორ სტრიქონშია მინერილი. XIV-XVII ტომებში ეს მუხლები ცალ-ცალკე გვაქვს დაბეჭდილი.

ხელნაწერ Q673-ში საგალობლები რეგულარულ-განმეორებადი ზომის მქონე ტაქტებადაა დაყოფილი, რასაც პირობითი ხასიათი აქვს და არა აქვს შეხება საგალობელთა მუსიკალური ქსოვილის ორგანიზებისა და განშლა-განვითარების სპეციფიკურ ბუნებასთან. ისევე, როგორც სხვა ტომებში, XIV—XVII ტომებშიც საგალობლები თავისუფალი მეტრო-რიტმითაა წარმოდგენილი, ხოლო სხვადასხვა მნიშვნელობის ცეზურების აღსანიშნავად გამოყენებულია ტაქტის მთლიანი ან ნწყვეტილი ხაზები, ასევე, მძიმეები. ცეზურების გააზრება-შესრულების შესახებ იხ. ანთოლოგიის შესავალი I ტომში.

ფრჩხილებში ჩასმული ყველა მუსიკალურ-გრაფიკული სიმბოლო (ნოტები, ალტერაციის ნიშნები, ცეზურების აღმნიშვნელი მძიმეები, ფერმატები) ჩვენი ჩამატებულია და მათი შესრულება სავალდებულო არაა.

ზოგიერთი აგოგიკური და ექსპრესიული ნიუანსი ხელნაწერში ან მხოლოდ ქართულად, ან მხოლოდ იტალიურადაა ჩაწერილი. ანთოლოგიის საერთაშორისო აუდიტორიისათვის გამიზნულობის გამო, ყველა შემთხვევაში აგოგიკური და ექსპრესიული ნიუანსები ქართულად და იტალიურადაა წარმოდგენილი წინამდებარე ტომში.

დედანში უმრავლეს შემთხვევაში დინამიკური ნიუანსები მხოლოდ I ხმასთანაა ჩაწერილი. ჩვენ ყველგან სამივე ხმაში აღვნიშნეთ ისინი.

დედნისეული ტექსტის ყველა სხვა ცვლილება შენიშვნებში გვაქვს ასახული.

ანთოლოგიის შესავალ წერილში (იხ. ანთოლოგიის I ტომი) მოცემული მითითებები ეხება ყველა და, მათ შორის, წინამდებარე ტომში დაბეჭდილ საგალობლებსაც.

XIV-XVII ტომებში გამოყენებული და დამონებული ლიტერატურა და სანოტო კრებულები

1. დოლიძე, დალი. (1991). *ლამისთევის ლოცვის საგალობელთა ლიტურგიკული თავისებურებანი ქართულ საღვთისმსახურო პრაქტიკაში (ე. კერესელიძის „მწუხრისა“ და „ცისკრის“ საგალობელთა კრებულების მიხედვით)*. კრებულში: წურწუმია, რუსუდან (პ/მ. რედ.). *ძველი ქართული პროფესიული მუსიკა. ისტორიისა და თეორიის საკითხები*. (გვ. 193-203). თბილისი: ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია.
2. კიკნაძე, გულნაზ (შემდგ.). (1982). *ნეემირებული ძლისპირნი: ხელნაწერი A-603*. გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო გ. კიკნაძემ. თბილისი: მეცნიერება.
3. „*მარხვანი*“, *ტრიოდინი, რომელ არს სამ-საგალობელი*. სტამბა ექვთიმე ხელაძისა, ქ. ტფილისი: 1901 წელი.
4. *პარაკლიტონი, წიგნი პარაკლიტოს*. მოსკოვი, სინოდის სტამბა. 1822 წელი (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდიდან).
5. *ჟამნი*. გამომცემლობა „ალილო“, თბილისი: 2012 წელი.
6. *სადღესასწაულო*. მოსკოვი, სინოდის სტამბა. 1865 წელი (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდიდან).
7. *ტრიოდინი ზატიკი*. მოსკოვი, სინოდის სტამბა. 1850 წელი (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდიდან).
8. ქორიძე, ფილიმონ. (1895). *ქართული გალობა : ლიტურგია იოანე ოქროპირისა // მღვდლისა და მღვდელთმთავრისათვის // გადაღებული ფილიმონ ი. ქორიძის მიერ; გადმოცემული: ანტონ ნ. დუმბაძისა, დიმიტრი რ. ჭალაგანიძისა, მთავარ-დიაკონის რაჟდენ თ. ხუნდაძის და ივლიანე ი. წერეთლისაგან. რამდენიმე საგალობელი გადმოცემულია მელქისედექ გ. ნაკაშიძისა და მღ. ნესტორ ე. კონტრიძისაგან. პარტიტურა №1 // ტფილისი : მაქსიმე შარაძის გამოცემა და სტ., 1895*
9. ქორიძე, ფილიმონ. (1904). *აღდგომის საგალობელნი // პარტიტურა №4 // იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების ხარჯით გადმოღებული ფილიმონ იესეს ძის ქორიძის მიერ; გადმოცემული: დიმიტრი რ. ჭალაგანიძისა, მთავარ-დიაკონის რაჟდენ თ. ხუნდაძისა და მღვ. ივ. წერეთლისაგან // გამოცემა მ. შარაძისა, ე. კერესელიძისა, ს. ლოსაბერიძისა და გარდაც. ვ. გძელიძისა — ტფილისი, 1904.*
10. შულღიაშვილი, დავით. (2004). *ქართული გალობა, თერთმეტი მარგალიტი*. დიმიტრი პატარავა, ვარლამ სიმონიშვილი, არტემ ერქომაიშვილი — საარქივო ჩანაწერი (1949) — ნოტებზე გადაიღო და შეადგინა დავით შულღიაშვილმა — თბილისი: 2004 წელი

გამოყენებული და დამონებული სანოტო ხელნაწერები და არქივები

1. Q672 - *ქართული საეკლესიო საგალობლების კრებული, სრულიად წელიწადსა შინა სახმარებელი რვა ხმა სამწუხრო საგალობელნი*. ილუმენ ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
2. Q673 - *ქართული საეკლესიო საგალობლების კრებული, სრულიად წელიწადსა შინა სახმარებელი რვა ხმა პარაკლიტონი*. ილუმენ ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
3. Q674 - *ქართული საეკლესიო საგალობლების კრებული, სამი წირვის წესი. ლიტურგია მღვდელთმთავართათვის*. ილუმენ ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
4. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში დაცული რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერები: რაჟდენ ხუნდაძის არქივი, ხელნაწერი №2124.

“Glory to You, Lord Jesus Christ! Strength of my life: for I have learned that which I did not know through Your grace and have been enabled by You to joyfully write this book, that which I was not able to do... And now the laborer shall depart, whereas I entrust this work to You so that it shall remain among the people now and ever and to the ages of ages, amen. Sinful Priest Monk Ekvtime. 1920.”

The final postscript testament of manuscript Q673.

Introduction

(For Volumes 14-17)

Holy Confessor Abbot Ekvtime Kereselidze’s notated manuscript Q673 kept at the National Center of Manuscripts is printed in Volumes 14-17 of the Anthology. Foremost, this collection stands out for its size among printed or manuscript sources of Georgian chant – it is the thickest and most voluminous manuscript containing 1,390 pages. Due to the large number of chants, manuscript Q673 has been split up and printed in four volumes (14-17). Chants for the services of the Midnight Office and Matins are printed in Volume 14, chants for Matins are presented in Volumes 15-16, whereas in Volume 17 there are chants for Matins, First Hour, and a small number of hymns for Liturgy. 175 hymns are printed in Volume 14, 279 - in Volume 15, 222 - in Volume 16, and 178 - in Volume 17. Out of these 854 chants, most of them are being published for the first time. In all, Anthology Volumes 12-17 represent a score for the vigil service.

As it was noted in the introduction to Volume 12 of the Anthology, E. Kereselidze has collated and organized according to liturgical order many chants attested in the Koridze-Kereselidze manuscripts of the Center of Manuscript’s Q and H collections or in Koridze’s publications – in the three largest collections among E. Kereselidze’s manuscripts: Q672, Q673, and Q674. In light of their liturgical completeness and musical magnificence (the melodic and polyphonic development and diversity of the chants), these three manuscripts represent original manuscript chant anthologies.

On the title page of manuscript Q673 Father Ekvtime has written:

“Score

Book 17.

Parakletiki in the Eight Tones to be Used All Throughout the Year.

All the Chants of Matins for Pascha and the Feasts.

The Property of Priest Monk (abbreviated) Ekvtime.

1891-1920.”

As we see from the manuscript's title page and the stirring postscript cited as an epigraph to the current introduction, Ekvtime, being recognized as a saint by our nation and the Church, had labored on this monumental work for 29 years.

After the title page, before the table of contents of the chants and the score itself are shown, E. Kereselidze has provided sets of the "aghsavlebi" for the Matins chants, in other words, a list showing their liturgical grouping and sequence (with the corresponding typicon references that are repeated later on with the chants, thus they will no longer be presented separately), with the title:

"An Orderly Organization of the Matins Chants of the Resurrection in the Eight Tones. See the Following."¹

The sets of Matins "aghsavlebi" (50 total) are shown in this list resembling a table of contents. In each "set" of the included chants are the group name, liturgical indications, and the beginning and ending page numbers of these groups. In this case, the term "aghsavali" must be not be understood with its liturgical meaning (i.e. "antiphon" – trans.), but with this word's medieval context, meaning "sapekhuri" (step), one of the parts of a developing, ascending order. In a service, the antiphonic micro-cycles of chants are directly called "aghsavlebi" (antiphons) – in Matins before the Gospel reading, the three beginning chants of Liturgy, and the "shekhvetiliani" chants of Good Friday Matins.

According to E. Kereselidze's classification, included in the 50 sets of Matins chants in Q673 are:

1. The Great Litany.
2. "God is the Lord" in the eight tones and the Alleluias to be performed in their place during a fast with the responsorial Psalm verse refrains.
3. The troparia of the Resurrection in the eight tones; troparia for saints of the day; Glory, Now and Ever, and the theotokia in the eight tones. "Holy, Holy, Holy" in the eight tones to be performed after the Alleluia during the fast.
4. "The Glory, Now and Ever, and Alleluia" for the Psalm canon.
5. The Small Litany.
6. Prokeimena of the Resurrection for the stichologia of the 1st Psalm canon in the eight tones.
7. "The Glory, Now and Ever, and Alleluia" for the Psalm canon.²

¹ It is possible to see the full version of this "Orderly Organization" in the digital version of manuscript Q673 on the State Folklore Center's website.

² Here, E. Kereselidze again references a chant shown in the 4th set.



8. The Small Litany.

9. Prokeimena of the Resurrection for the stichologia of the 2nd Psalm canon in the eight tones.

10. Praise the Name of the Lord (“Akebdit” and “Auarebdit”).³

11. “By the Waters of Babylon” to be performed during a fast; megalynaria to be performed on feast days.

12. “The Ranks of Angels” chants (6 troparia with their verses).

13. The Small Litany.

14. Hypakoe of the Resurrection in the eight tones.

15. Troparia following the megalynaria for feast days and the stichologia verses with their respective Glory and Now and Ever.⁴

16. “Glory to You, Our God” and the Matins antiphons in the eight tones (all the antiphon verses in all eight tones, with additional, ornamented versions of the antiphons in tone 4).

17. Gospel prokeimena for Sunday Matins in the eight tones. Gospel prokeimena for Matins on feast days.

18. “Let Everything That Has Breath Praise the Lord” before the Gospel.

19. Short chants accompanying the Gospel reading (“Lord have mercy”, “And with your spirit”, Glory to You, Lord”).

20. “We Have Seen the Resurrection of Christ” (in various tones).

21. “Glory, through the prayers of the Apostles” with all verses. “Open the Doors” to be performed during the liturgical period of Great Lent with all the verses.

22. “Lord have mercy” twelve times, “Amen”.

23. The first canticle/ode/*ugalobditsa* of the canon with the katavasia.⁵

24. The second canticle/ode/*moikhilesa* of the canon only performed during Great Lent.⁶

25. The third canticle/ode/*gandzlierdasa* with the katavasia.

26. The Small Litany.

27. Prokeimenon.

³ A few examples of “Blessed Are the Blameless” arranged by the editors to the chant melodies of this set have also been added to the 10th set in Volume 15.

⁴ The troparia are not shown in manuscript Q673. The stichologia prokeimena for feast days, however, have been moved by E. Kereselidze to the last part of the manuscript due to their large numbers, so the Resurrection chants for Matins (hypakoe and antiphons) would not be separated from each other.

⁵ The heirmoi of great feast days which, during the liturgical periods of these feast days, are combined with the heirmoi of the canon in the tone of week. Each heirmos of the katavasia takes the place of the last verse of each canticle/ode of the main canon.

⁶ The second canticle/*moikhilesa* is not presented in Q673.

28. The fourth canticle/ode/*ufali mesmasa* with the katavasia.
29. The fifth canticle/ode/*ghamitgansa* with the katavasia.
30. The sixth canticle/ode/*ghaghad-kavsa* with the katavasia.
31. The Small Litany.
32. The kontakion, ikos of the Resurrection in the eight tones, or the synaxarion for the feast day(s).⁷
33. The seventh canticle/ode/*kurtkheul arsa* with the katavasia.
34. The eighth canticle/ode/*akurtkhevditsa* with the katavasia; “To the Theotokos, the Mother of the Light”.⁸
35. The Magnificat “My Soul Glorifies the Lord” (with the refrain “More Honorable”).
36. The ninth canticle/ode/*adidebditsa* with the katavasia.
37. The Small Litany.
38. “Holy is the Lord Our God” in the eight tones.
39. Exapostilaria of the Resurrection, the weekdays, or Great Lent with their verses, Glory, Now and Ever, and theotokia in the eight tones.
40. “Let Everything That Has Breath Praise the Lord”.⁹
41. Troparia of the Resurrection or feast day for the Praises in the eight tones.¹⁰
42. The doxasticon.
43. “Most Blessed Are You” in the eight tones.
44. The Great Doxology.
45. Troparia in the eight tones to be performed after the Great Doxology.
46. The Augmented Litany.
47. The Litany of Fervent Supplication
48. “Establish, Lord God”.¹¹
49. “More Honorable”.
50. “Holy Father Bless”, chants for First Hour, the kontakion “To You the Champion Leader”.

⁷ Out of the hymns of set 32 in Q673, only the Sunday kontakia of the Resurrection in the eight tones have been notated.

⁸ According to the typicon, this phrase is said by the priest. In Q673 however, there is a unique version of it to be performed in three voices for the Orthodox liturgy.

⁹ A complete version of this chant which, in modern services, is read almost everywhere (not only in Georgia), is shown in Q673.

¹⁰ Only the troparia of the Resurrection are in Q673.

¹¹ E. Kereselidze has notated the hymns of sets 48-50 in Q672 (Anth. Vol. 12) and, therefore, they are no longer included in Q673.

Entire cycles in the eight tones, works having a variety of melodies, textures, and harmonies are often implied beyond each set of this impressive list. A small portion of them are not included in Q673 (they are supposedly in other manuscripts, or they must be performed to the melody of their original models notated in Q673, thus they were no longer notated), although this entire chant corpus of Sunday Matins of the Resurrection shown in the Parakletiki is notated. Moreover, beside the 50 sets of Matins chants shown above in Q673, the Canon of the Holy Trinity in the eight tones to be performed at the Midnight Office – a collection of heirmoi – is also provided, along with prokeimena in the eight tones for the liturgy and feast days, and Alleluias as well.

Therefore, manuscript Q673, a notated successor of the old Georgian *iadgaris* or *gulanis*, this *Magnus Liber* of the medieval Georgian music tradition notated in the 19th century, is one of the most complete, comprehensive, and outstanding liturgical music collections summarizing and showing a 1,500-year Georgian ecclesiastical tradition of performing the service of Matins. In addition, if the hundreds of heirmoi included in Volumes 6-8 of the Anthology are recalled, as well as the many heirmoi shown in the Karbelashvili and Khundadze manuscripts, the richness and multiplicity of the Georgian hymnographic treasury becomes even more magnificent.

* * *

Like other manuscripts, E. Kereselidze had also decorated the 1,390-page, monumental Q673 with various “embellishments” – miniatures of a geometric or floral nature – as medieval scribes had done.

Kereselidze’s postscripts or indications provided in manuscript Q673 have been copied over into the footnotes of Volumes 14-17 by the editors without any alterations. Only outdated or incorrect forms and dialecticisms (for example “dinzhad” (grave), “sashvalo modzraobit” (moderato) have instead been indicated as “dinjad”, “sashualo modzraobit”, etc.) of words indicated in the tempo markings have been affected by changes.

* * *

Among the chants included in manuscript Q673, there are chants having a comparatively simple texture characteristic of the *sada* (plain) style (with parallelisms in thirds, fourths, and fifths in the top voices), as well as many examples of an intensely polyphonic nature, those in the *gamshvenebuli* (ornamented) style. As in previous volumes of the Anthology, in Volumes 14-17

there are many chants representing hymns in a moderate *gamshvenebuli* style, the so-called “real mode” – from a polyphonic point of view, they are of an intermediary character, with segments having varying levels of polyphony alternating with each other.

In addition, there are a sufficient number of chants in manuscript Q673 in which quintal - and in short phrases – secundal parallelisms between the upper two voices characteristic of Artem Erkomaishvili’s style (the Shemokmedi school) are manifested. Relics of archaic layers of Georgian polyphony with an early medieval (and a relative to the aesthetic of ancient works of European polyphony) aesthetic are seen in such examples. It is notable that there are also some individual chants having a texture configured with an archaic quintal heterophony in the complete cycles (the canticles, heirmoi for the Praises...) – alongside examples of the Koridze-Kereselidze *sada*, *namdvili*, or *gamshvenebuli* styles, and examples with an identical texture in the Khundadze *sada* style.

For example, such works are #34, 64, 154-158, 160, 162, 164 in Volume 14; #15, 38, 91, 152-160, 164-176 in Volume 16; and #59-67 in Volume 17.

